

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/42

თბილისი

“ 14 “ ივლისი 2020 წ.

შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ვაკანტური ადგილების, ვადების,
წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/5
ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-5 და მე-9 მუხლების, გთუნი-ის
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის, ბიზნესისა და სოციალური
მეცნიერებების ფაკულტეტის და სამართლის ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების
საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის
ვაკანტური ადგილები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო
პროგრამებზე:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) 5 - ადგილი;
- ტურიზმი 5 - ადგილი.
- ფსიქოლოგია 5 - ადგილი;
- ჟურნალისტიკა 5 - ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი 5 - ადგილი;
- საბანკო საქმე 5 - ადგილი;
- მასობრივი კომუნიკაცია 5 - ადგილი.

სამართლის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი 5 - ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი 2 - ადგილი;
- კერძო სამართალი 2 - ადგილი.

2. განისაზღვროს 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 2020 წლის 07 სექტემბრიდან - 11 სექტემბრის ჩათვლით;
- ✓ შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა - 2020 წლის 07 სექტემბრიდან - 11 სექტემბრის ჩათვლით;
- ✓ ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა - 2020 წლის 01 ოქტომბრამდე

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);
- ✓ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;

4. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით;

- დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტებს;
- ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

რექტორი

გიორგი მათიაშვილი